

დ რ მ ე ბ

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 181. შაბათი, 15 აგვისტო 1909 წ. დამატების № 32.

უმცარი ტალღა.

დრამა ოთხ მოქმედებად.
(შემდეგი*)

ღვთისმ. დიად, მეგობარო, ესეა, და ვერ გამოვიდა, რათ შემოსწყერი ვგრე ცხოვრებას!

არჩილ. ეჰ, ჩემო კეთილნო! რა გავაკეთო იმ ცხოვრებაში, სადაც ყოველი სილამაზე დამახინჯებულია. ყოველი სილიადე დაწვრილმანებული, ყოველი სიწმინდე შელახული და უმადლესობა კი დამცირებული, ფეხქვეშ გათვლილი?! მაგნაირ ცხოვრებაში მე არა მაქვს ადგილი და, აი, მოვშორდი კიდევ მას!

სვიმ. აქ სამუდამოდ ხომ არ გადმოსახლდით?

არჩილ. სამუდამოდ.

შალვა. როგორ? მაშ ალარ დაბრუნდებით ქალაქში?

არჩილ. რა გავაკეთო იქ, რომ დავბრუნდე?

ღვთისმ. როგორ თუ რა გაკეთო? განა ცოტა რამ სკირდება ხალხს? ცოტა არის გასაკეთებელი?

არჩილ. მე მხოლოდ იმის გაკეთება შემიძლიან, რომ ჩემი ჩანგის ჟღერით გავადვიძო ხალხის გულში მივიწყებული მიძინებული გრძობა ქეშმარიტებისა და სიყვარულისა, სიწმინდავისა და სილიადისა, სიხარულისა და სილამაზისა..

ღვთისმ. და რამდენათაც უფრო ახლო იქნები ხალხთან, იმდენათ უფრო უკეთესად გაიგონებს ის ამ შენი ჩანგის ჟღერას.

არჩილ. ახლო რომ ვიყო, მაშინათვე დამიწყებდნენ ჩანგის სიმებს. მე კი მათ ახლად გაბმას მოვუნდები და როსლა ვიმღერო? როდისღა ვსთქვა გულის ნადები?

ღვთისმ. ნუ თუ აქ უკეთესია?!

არჩილ. ოო, მშვენიერებაა! აქ თვით ბუნება, ზღვის ნიაფი, ფრინველთ ჭიკჭიკი, ტყის ჩურჩული, ვარსკვლავთ სხივები მიქსოვენ ხოლმე ტკბილსა ჰანგებს, შეკაზმულსა მათივ სინაზით, სიკეკლუცით, მშვენიერებით. მეც ჩემის გრძობით, ჩემის ნიჭით შევფუთნი ხოლმე ამ ციურ ჰანგებს და შემდეგ კი, ვით ვარდის კონებს, გარშემო ვფანტავ ხალხისა გულში... (უკვლახი ჩუმის ადტაცებით ადიმუბიან) იქ ბევრის გულში ისე დასტკნება, არვინ დასტკნება იმისი ყნოსვით. ბევრის გულში კი დასწყდება კონა და ფიანდაზად მოეფინება და გააღიმებს დამტკნარ სიცოცხლეს მისი ყნოსვა და სურნელება... (სვამონ ადტაცებული მიჯა აჩხილთან და შუბლში აკოცებს)

ღვთისმ. (ისივ მადას და ჰკონის). მე მარტო მწერლობაში მეგონე პოეტი, შენკი ლაპარაკშიც, ცხოვრებაშიც ნამდვილი პოეტი ყოფილხარ, მართლა.

ლელა. (შაფვას) აქამდის თუ მარტო მომწონდნენ მაგისი ნაწერები, ამის შემდეგ სულმთლად შემეყვარდებიან იგინი.

შალვა. თავიანთ ავტორიანად, არა? (ღელა, თითქმის შირველად დააკაკუნეს საიდუმლოდ შენახული ძვირფას გრძნობების კარებიო, ისე შეკრთება და თან დიმილით შეჰხუდავს შაფვასს)
ღვთისმ. (აჩხილს) მაგრამ მე მაინც ვერ შევრიგებია ვერ მონასტერში ცხოვრებას. ეს რალაც არა ბუნებრივად მეჩვენება.



შალვა

გარდაიცვალა 6 აგვისტოს

არჩილ. წელან ბიძაჩემმა მითხრა: ჩვენ შთამომავლობით მოგვდგამს მისწრაფება თავისუფლებისა და ეს მართალიც უნდა იყოს, მე მგონი.

ღვთისმ. ესლა შენ შთამომავლობაც უნდა იმოწმო შენი განდეგილობის გასამართლებლად, ჰა?

არჩილ. მართლა, ჩვენი წინაპარი ბევრი ყოფილა ბერად და, სხვათა შორის, ავერ ბიძაჩემიც. მაშაჩემი კიდევ ბერზე მეტი თუ იყო, თორემ ნაკლები არა ყოფილა.

სვიმონ. რითი? როგორ?

არჩილ. ის ამოდენა ხალხში, ამოდენა ქვეყანაზე განცალკევებითა და მყუდროდ იდგა არა მარტო თავის ცხოვრებით, არამედ თავის აზრებითა და გულისთქმითაც კი.

ღვთისმ. მერე რა მიზეზით? რისთვის?

არჩილ. მეც არ ვიცი, რადგან მეც უცხო ვიყავი მისთვის.

სვიმონ. უცნაური კაცი კი ყოფილა სწარედ.

არჩილ. უცნაური ხომ იყო, მაგრამ ამასთანავე დიდი პოეტი და ნიჭიერი კაციც უნდა ყოფილიყო, როგორც მე ვატყობდი; თუმცა ის თავის ნიჭს ეგვიპტელ ქურუმივით საიდუმლოდ ინახავდა და ბოლოს ისე გამოემშვიდობა

*) იხ. სურათებიანი დამატება № 31.

სოფელს, რომ ერთ კაცსაც კი არ აღირსა თავისი ნიკის დანახვა.

შალვა. მაშ საიდან იცით, რომ ნიკიერი იყო?

არჩილ. საიდან? ამ ხუთი წლის წინად რაც მამული ებადა კიდევ, სულ მიჰყიდ-მოჰყიდა და კაპრზე გადასახლდა. იქ რამდენიმე თვით მეც ვეწვიე სტუმრად და ყოველთვის ვუყურებდი, თუ რამდენს მუშაობდა და სწერდა.

ღვთისო. მერე რას უშვრებოდა იმდენ ნაწერს?

არჩილ. თუ ნიკუმე შვიდი კაცი მინც გახადა თავის ზარატუსტრას წაკითხვის ღირსად, მამაჩემი ერთ კაცსაც არა სცნობდა ღირსად წაეკითხა თავისი ნაწერი.

ღვთისო. მაშ რალად უნდოდა, რომ სწერდა?

არჩილ. ძველი ბერძენივით თვითონ სწერდა და თვითონვე სტკებებოდა მათის კითხვით. დასწერდა თუ არა რამეს, მაშინათვე წავიდოდა ზღვის პირად; იქ ტალღების ჩქეფას, მათ თამაშს არტისტულის სილამაზით წაუკითხავდა ხოლმე ხმა მალლა თავის ნაწერს, შემდეგ დაჰხვედა და საუკუნოდ ჩააბარებდა ხოლმე მოუსვენარ ზღვის ტალღებს.



გამარჯვებული ჩვეთლიუციონერები სპარსეთში.

თეირანის ალების შემდეგ.

ღვთისო. მაშ სრულებით არაფერი ნაწერი არ დაჩენია?

არჩილ. არა. მხოლოდ როცა წამოსვლა დავაპირე, ერთი პატარა ლექსი მომცა და მითხრა: აჰა, ამაზე მეტს ვერაფერს მოგცემ! ამას წაიკითხავ და მომიგონებ ხოლმეო.

შალვა. მერე რა უყავით ის ლექსი?

არჩილ. (უჩვენებს უბეზე) აქა მაქვს ძვირფასად შენახული.

სვიმ. მაშ, წაგვიკითხეთ ბარემ!

არჩ. კარგით, მერე წავიკითხოთ.

სვიმონ. მერე მაგის მეტად აღარ გინახავთ?

არჩილ. არა... ბოლოს გაგაყდა და საავადმყოფოში დალია სული სიღარიბესა და უპატრონობაში

ღვთისო. შენ სად იყავი მერე?

არჩილ. მე აქ ვიყავი ჩვენს მადლიან ქვეყანაში, მაგრამ რის შეგელა შემეძლო? მე თვითონ სხვის სამადლოთ ვირჩენდი თავს (სიხუმრე)

სვიმ. (ხელს დაადებს აჩილს) წამოდით, შეილო, ჩემთან! აი, სამი შვილი მყავს, მეოთხეც თქვენ იყავით! თუ მაგათში გამოგარჩიოთ, სიკვდილმა გამომარჩიოს (უკუქადას სიხარულის სი დაჰქრავს).

არჩილ. (ხელზე ჰკოცნის სვიმონს) სულით და გულით ვგმობდით თქვენ. ენა არ მემორჩილება, რომ ღირსეული ქება შეევასხა თქვენ მამობრივ თანაგრძობასა და გულუხვობას.

ღვთისო. მეც გმადლობ, ძმაო! მაგითი პატივსა სცემ არა არჩილს, არამედ ჩვენ ხალხს, რომლისათვისაც ისე ძვირფასი იქნება მაგისი ახლო ყოფნა (აჩილს) ვერე არჩილ! მაშ უთხარი „მშვიდობით“ შენს მონასტერს და ხვალ ეთრად გაუუდგეთ გზას!

არჩ. არა. მე აქედან ფეხს არ მოვიცვლი (ღეჟას სხეს მადუშავს).

ღვთისო. რატომ, კაცო!

არჩ. იმიტომ, რომ აქ, ამ სიმაღლიდან უფრო ახლო ვარ იმ ცხოვრებასთან, რასაც მარადის ღრმა სასოებით შეჰხარის სული, უგალობს გული; რის ოცნებაშიც, მოგონებაშიც ნეტარებასა და სიხარულსა ვგრძობ.

სვიმონ. სხვა რალა ვუყო! თქვენ წინ გავშალე ჩემი სიუხვე და გულწრფელობა და, თუ იკადრებთ იმაზედ გავლას, მეც გავიხარებ, გეტყვით მადლობას.

ღვთისო. მაშ სულ აქ უნდა იყვე, ჰა?

არჩ. ჯერ კი, არსად ვაპირებ წასვლასა და რა ვიცი. ან სხვაგან სად შემიძლიან წავიდე!

ღვთისო. ცხოვრება არ გინდა მინცა? აქ რით არსებობ?

არჩ. ჩემი ცხოვრება აქ უფრო უზრუნველყოფილა. როგორც მასონები, ისე ვცხოვრობთ: ჯერ ვმუშაობთ ყველა ერთად, მეცა და ბერებიც, ხან ბალში, ხან მინდორში, მერე ისინი მოდიან და ებაასებიან თავიანთ ღმერთს, მეც მოვდივარ და ვქსოვ ხოლმე ნელ-ნელა ხან ჩემ ლექსებსა და მოთხრობებს, ხან საოცნებო რამ ლამაზ ცხოვრებასა და ქვეყანას.

ღვთისო. ეს! ბარემ ბევრი რამ გვეთქმის ერთმანეთთან, ჩემო არჩილ, მაგრამ (შაჯავს) ჯერ წავიდეთ და ამოვიტანოთ ის ჩვენი სურსათი, რომ არ დაგვიგვიანდეს; მერე კი თუნდა მთელი ღამე ვისხდეთ და ვსტკებოდეთ ჩვენის ძვირფას მასპინძლის ცქერიით.

სვიმონ. ემაგას კი კარგს იზავთ მართლა!

შალვა. აბა, მაშ წავიდეთ! (ღვთისო და შაჯავს გამადიან და მიდიან ბილაკ-ბილაკ).

უზოში გამოდის ექვთიმე.

არჩ. არა გნებავთ, ჩვენც გავისეირნოთ კარში?

სვიმ. წავიდეთ ლელა! (გამადის უზოში). (რა დაინახავს ექვთიმეს) ოჰ, მამაო, ილუმენ, თქვენ აქაბრძანდებით!

ექვთ. დიად, ეკლესიაში გახლდით! (აჩილსა და ჯეჟას მიდიან სკამთან და გასცქერაან ზღვისაკენ).

სვიმონ. რა მადლ და მშვენიერ ადგილასა გაქვთ ეს მონასტერი! ამ სიმაღლეზე სწორედ დედამიწის ყარაულთა და ცის მოციქულთ შეჭფერით ცხოვრება. აქ ზოგჯერ ანგელოსთა გალობაც კი შეიძლება გაიგონოს კაცმა.

ექვთ. მხოლოდ არა ცოდვილმა.

სვიმ. რასაკვირველია.

ექვთ. მარჯვნივ საამური ზღვის სიო უბერავს და მთელი მიდამოცა სჩანს იქიდან, აბა გავიაროთ! (მიდიან მარცხნივ)

ლელა. (მიიხედ-მიიხედავს და რა ვერავის დაინახავს, თითქმის ერთბაშად უხერხულად იგრძნობს თავსაო, მაგრამ ისევ ჩქარა დაშვიდდება)

არჩ. რას იტყვით, ლელა! მოკწონთ ჩემი სამფლავბელოა?

ალელა. მომწონს, მაგრამ როგორ არა გბეზრდებათ ასეთი სიმარტოვე! მემგონია. ასეთი განდევილობა სულიერ ობლობასაც უნდა იწვევდეს.



არჩ. არც ისე ობოლი ვარ, როგორც თქვენა გგონიათ.

ლელა. ვითომ?

არჩ. მართლა. რათ ვიქნები ობოლი! ქვეყანა, ბუნება აყვავებული წალკოტია, რომელშიაც უხვად არის გაბნეული შვება და სიხარული, სილამაზე და წარმტაცობა და სხვა ძვირფასი მარგალიტები.

ლელა. საუბედუროდ, ყველა ვერა პოულობს მაგ უხვად გაბნეულ მარგალიტებს...

არჩ. რასაკვირველია, პოვნის უნარიც უნდა ჰქონდეს კაცსა. ეს მარგალიტები ხელებით არ აიკრიფებიან, მათ ასაკრეფად საჭიროა მეტი სინაზე, მგრძნობიერება, სიფაქიზე და გულწრფელობა.

ლელა. თქვენ კი იცით მათი აკრეფა?

არჩილ. შევეჩვიე.

ლელა. ნეტავი თქვენა!

არჩ. აი, ამ ზღვის ღელვას, ნიავის ქროლვას, ტყის შრიალსა, ვარსკვლავთა ციმციმს ვებასები, ვეჩურჩულები, თანაც ყურს ვუგდებ იმათ ლაპარაკს. ეგენი მყვანან მე მეგობრებად, ნათესავებად და ნაცნობებად...

ლელა. განა მართო ეგენი კმარან მეგობრებად?

არჩ. არიან სხვანიც: როცა ზღვას სძინავს, ნიავიცა სდუმს, არც ტყე შრიალებს და ვარსკვლავებიც მოკამკამენი მომაჩიდებენ ხოლმე სახეს მცინარსა და ამ ქვეყნად მეფობს სიბნელე, იდუმალება და მყუდრება, მეც ამ სიბნელეს, ამ მყუდროებას გადვუშლი ხოლმე ჩემ გულში ნაღებს და ამაშიც ვგრძნობ ჩემსა სიხარულს, ჩემსა ნუგეშსა და ნეტარებას...

ლელა. ნუ თუ თქვენთვის მართო ეგ კმარა? და ქვეყანა კი აღარ გიზიდავთ, არ გაგონდებთ?

არჩ. მე ქვეყანას როდის ვივიწყებ? აკი ხშირად ვუგზან ხოლმე ჩემსა აზრებს და ჩემსა გრძნობებს. მაგრამ ვინც სუნთქავს თავისუფლებით, სიყვარულით, ქვეშაობით, ის იქ ვერ გასძლებს, რადგან იმწამსვე უჰაეროდ სულთ ამოხდება.

ლელა. მაშ სამუდამოდ შემოსწყერთ ხალხსაც, მის ცხოვრებასაც? აღარ აპირებთ იქ დაბრუნებას?

არჩ. რა გავაკეთო, რომ დავბრუნდე! თუ ხალხიდან ერთი მაინც გამოვა ვინმე, ვინც ჩემს ოცნებას, ჩემს მისწრაფებას მისცემს ცოტაოდნათ მაინც ხორციელ სახეს, მაშინ მე მზათა ვარ, თუ ორივე არა, ერთი ხელი მაინც გავუწოდო ხალხს და მივესალმო.

ლელა. ისე კი არა?

არჩ. არა! (სიჩუმე) თქვენ მუდამ ქალაქში ცხოვრობთ არა?

ლელა. მამაჩემი და ბიძაჩემი — კი, მე-და შალვა კი მოსკოვში ვართ. შალვა უნივერსიტეტშია და მე კიდევ კონსერვატორიაში ვსწავლობ სიმღერას და მუაიკას.

არჩ. მუსიკასა სწავლობთ! ოო, ეს მშვენიერება რამ არის!.. მუსიკა ის ენაა, რომლითაც ელაპარაკები პირდაპირ კაცის გულს, მის ფაქიზსა და წრფელ გრძნობებს...

ლელა. თქვენ გიყვართ მუსიკა?

არჩ. როგორც აპოლონსა და ამფიობს..

ლელა. (თავში რადაც სისიამოვნო გაუეფეებს) ეს ძალიან კარგია!..

არჩ. ისე მიყვარს, რომ ხშირად ბუნების უცნაურათ შეხმატკბილებელ ჰანგებს, მის საუცხოვო სიციცხლითა და წარმტაცობით სავსე ჰარმონიას დავარღვევ ხოლმე ჩემი ქნარის სიმების წკარუნით და ეს დანაშაულად არ მიმაჩნია ბუნების წინაშე, იმიტომ რომ მიყვარს კაცის ხელითაც შექმნილი სილამაზე და ჰარმონია.

ლელა. აქ კი, ვინ იცის, სულ დანატრულდით სიმღერასაცა და მუსიკასაც, არა?

არჩ. რა ვუყოთ. თქვენ, ვინ იცის, რა კარგად უკრავთ!..

მე კი ერთხელაც არ მექნება საშუალება აღტაცებაში მოვიდე თქვენის ხმისა და მუსიკის სიტურფით...

ლელა. (თათქას ამაუფრად, თათქას უვედრებით და თანაც მკერდადებით) რათ აბრუნებთ უკუ მამიჩემის გამოწვდილ ხელს? მაშინ ყოველთვის შეგეძლებათ აასრულოთ თქვენი წადილი — არა თუ მართო ერთხელ. (აჩნად შეჭხუდავს უცნაურად თათქას სიადუელად ქსელი, ჯერ მათთვისაც დაუნახავა, უკვე გაება მათძმრისაც)



ჩვეოლიუტია მსხანიაში.

რევილიუტინერები ბარიკადას აშენებენ ბარცელონაში.

ლაპარაკით შემოდინ ექვთიმე და სვიმონ.

ექვთ. ზამთრობით არას, აქ საუცხოვო სურათი. როცა თოვლით მოიპნება მთელი არე-მარე, ასე ჰგონია, ცაცა და დელამიწაც. ეს უშველებელი მთებიცა და მინდვრებიც სულ ერთმანეთთან არიან გასწორებულიო. მეტადრე, თუ ამ თოვლის ზეწარს ვერცხლივით ალაპლაპებენ მზის მოყვითალო, ნაზი სხივები, სწორედ საოცნებო რამ ქვეყანასა ჰგავს მთელი მიდამო.

ლელა. (აჩნად) თქვენი ბიძაც თქვენზე ნაკლები პოეტი არ უნდა იყოს, მემგვნი.

არჩ. მაგას დიდი მხატვრული გემოვნება აქვს. ეგრემ არ იყოს, მართლა იქნებ ვერც კი გამეცლო აქა.

სვიმონ. ღვთისო და შალვა არ მოსულან ჯერა?

ლელა. არა

შემოდინ ხელი-ხედი ჩაკიდებული ალექსი და ტიტო.

ტიტო. ხვალაც წავიდეთ, ჰო, ალექსი! იმ დიდ ვაშლისა ერთი კიდევ მომაწყვეტინე!

ალექ. წავიდეთ, ჩემო კარგო, წავიდეთ!

სვიმ. (აღექსისა და ტიტოს) თქვენ, როგორც გეტყობათ, ჩქარა დამეგობრებულხართ!


ალექ. (დამიღვით) დიად. (ტიტო ამოიღებს ერთ დიდ ვაშლს, ჯერ მამას აჩვენებს, მერე ალექსს გაუჩვენებს ცხვირწინ დასახსავად და გამოსაჯავრებლად; ლელა ხელს წაატანს დასაჭერად)

ტიტო. ვერ მოგართვით! (გაქცევა განზე. ქვევიდან ისმის შავას სიმღერის ხმა. გადაიხედავს) ძია და შალვა მოდიან! (გაქცევა ბიძაქვე).

ექვთ. შენ სამოვარი რომ გააჩალო, ალექსი, კარგი იქნება. (სვიმონს) მე ეხლა ეკლესიაში შევივლი ცოტა ხნით.

სვიმონ. ბატონი ბრძანდებით!

არჩილ. (ექვთიმეს) დღეს ვახშამი ერთადა ვსჭამოთ, ძია! თან გრიგოლაც მოვიწვიოთ.



ჩვეულებრივი მსახურის.

მონტუიხის ციხე, სადაც შეპყრობილი რევოლუციონერები დამწყვდიეს.

ექვთ. კარგი (მიდის. ალექსი შედის ერთ-ერთ ოთახში).

ორიგინალური ანდერძი.

**ამოღიან ღვთისო, შალვა და ტიტო, რომელსაც კალათა გამო-
ურთმევიან ღვთისოხთვის და ძლივ-ძლივით მოაქვს.**

ამ რამდენიმე ხნის წინად ამერიკაში, ქალაქ გარტფორდში გარ-
დაცვლილა ერთი ქალი. ამ ქალს სიკვდილის წინ ანდერძი დაუტოვებია.
თავის ორ საყვარელ ძალისთვის უანდერძნია 18,750 მანეთი, თავის
ქმრისთვის კი 3751 მანეთი.

სვიმ. ოთახში შემოიტანეთ, შვილო, ოთახში!

ბავშვი-გალობა-სიმღერის მასწავლებელი.

ღვთისო. აბა არჩილჯან! ამაღამ ძალიან უნდა ვიქეიფოთ.
ამდენი ხნის უნახაობის ტომბახი სულ ერთად უნდა
დავლიოთ. (არაშუქს კაფას და შაქვს შაფასთან ერ-
თად ოთახში. დაინახავს სკრამპას) არჩილს სკრიპაკაც ჰქო-
ნია! (გამოიხედავს) არჩილ, სკრიპაკაშენია?

ვინმე ალიკო როსინის, 12 წლის ყმაწვილს, ამ რამდენიმე კვირის
წინად ქალაქ პეზაროში (იტალია) კონსერვატორიიდან გალობა-სიმღერის
მასწავლებლების მოწმობა აუღია. პეზაროს კონსერვატორია იტალიის
ერთ შესანიშნავ კონსერვატორიად ითვლება.

არჩ. დიად.

ოცდა-ათი დღე მშვიერი.

ღვთისო. აბა, მაშ რადგან დაკვრაც გცოდნია, ჩემი ბრალი
ნუ იქნება, თუ შეგაწუხებ! (ჩამოიღებს სკრამპას და გა-
აქვს არჩილთან. შაფავს გადის).

ინგლისელ ექიმ პენის ოცდაათი დღე ისე გაუძლია, რომ არა-
ფერი უჭამია. ექიმ პენის სდომებია გაეგო, რამდენი დააკლდება ორგა-
ნიზმის სიმძიმეს და როგორ იმოქმედებს ორგანიზმზე უჭმელობა. პენის
30 დღის განმავლობაში მარტო რამდენჯერმე დაუღევია გაწმენდილი
წყალი. ყოველ დღე სძინებია 12 საათი, დანარჩენ დროს უკითხავს წიგ-
ნები, უსერიანია და სხვა. შიმშილს შეუწუხებია ორი დღის განმავლობა-
ში, შემდეგ კა არაფერსა ჰგრძობდა თურმე; გარდა იმისა, რომ ხელე-
ბი და ფეხები გასცივებია და ამას ძალიან შეუწუხებია. 30 დღის განმავ-
ლობაში პენის დაკვლეობა 30 გირვანქა. პენის გადაუწყვეტია ხელმეო-
რედ შეუღდეს შიმშილს იქამდ-ს, სანამ შესძლებს.

შალვა. (უხვევებს მარჯვენად) აი, იქით კარგი მიდამო მოსჩანს,
იქით გავიაროთ! (არჩილ მომართავს სკრამპას და მიდიან
დაკვრით).

გამოდის ალექსი.

ალექ. (ალექსი დაუწევს მოსკიანეებს ცქერას. ჩქარა შაფავს
სიმღერის ხმაც მოასმის. ალექსი კარგა ხანს შეჭურვებს მთ
გრძნობით შეპყრობილი) ეჰ, ნეტავი თქვენა!... (გამო-
რუნდება ოთახისკენ).

ფ ა რ დ ა .

ჩვეულებრივი მსახურის

(შემდეგი იქნება).

აჯანყების ჩაქრობის შემდეგ დატყვევებულთა ცოლ-
შვილი მონტუიხის ციხის წინ.

ლევ. მეტრეველი.

წვილი ამბები

**ქალი—შეერთებულ შტატების
პრეზიდენტი.**

ამერიკელ სუფრაჟისტ ქალებს გა-
დაუწყვეტიათ, შეერთებულ შტატების
პრეზიდენტის მომავალ არჩევნებზე
თავიანთი კანდიდატი წამოაყენონ.
კანდიდატად ასახელებინ ქ-ნ ჯან
ადამს. სუფრაჟისტები უკვე შესდგო-
მიან საქმეს, გაუმართიან რამდენიმე
კრება და პროპაგანდა დაუწყვიან.
ქ-ნი ჯან ადამსი გამოჩენილი ორა-
ტორია, იგი მთელ ამერიკაში გან-
თქმულია, როგორც უნიკიერესი ორ-
განიზატორი.

